ეროვნული სამუშაო შეხვედრა "ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და პარტნიორობის ინსტრუმენტი"

მწვანე ალტერნატივა, საქართველო

ანგარიში

საქართველო
14-15 ივლისი, 2008

Eurostep **A.I.S.B.L. -** ***Eurostep*** **is a member of CONCORD**

115 Rue Stévin, 1000 Brussels, Belgium

Tel. +32 2 231 16 59 • Fax. +32 2 230 37 80

E-mail: admin@eurostep.org • Web: http://www.eurostep.org

სარჩევი

შესავალი 2

ევროკავშირის თანამშრომლობა საქართველოსთან 3

საქართველოს მონაწილეობა სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში 6

ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტის მიმოხილვა 8

სტრატეგიული დოკუმენტთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზი:
ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროების განვითარების
ძირითადი გამოწვევები 11

კონკრეტული რეკომენდაციები სამეზობლო პოლიტიკის შესახებ (საზოგადოების
მონაწილეობა, გამჭვირვალობა, სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგი,
საბიუჯეტო მხარდაჭერის საკითხი და სხვ. 15

შესავალი

2008 წ. 14-15 ივლისს ქ. თბილისში შედგა არასამთავრობო ორგანიზაციების ეროვნული სამუშაო შეხვედრა "ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და თანამშრომლობის ინსტრუმენტი", რომლის მიზანიც იყო საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და მონაწილეობის გააქტიურება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის/ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფუნქციონირების საკითხებზე.

თბილისის ეროვნული სამუშაო შეხვედრა ჩატარდა Oxfam KIC პროექტის მხარდაჭერით მიმდინარე ინიციატივის "ევროკავშირი, სამხრეთ კავკასია, აღმოსავლეთ ევროპა და სამხრეთ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები — პარტნიორობისათვის" ფარგლებში. პროექტის ზოგადი მიზანია ეგვიპტეში, მაროკოში, უკრაინაში, პალესტინაში, მოლდოვასა და საქართველოში განხორციელებული ღონისძიებების საფუძველზე ევროკავაშირის პოლიტიკის იმგვარად შეცვლა, რომ ევროკავშირისა და მის მეზობლებთან თანამშრომლობამ სრულად ასახოს რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები. კერძოდ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ეროვნული სამუშაო შეხვედრების ორგანიზება სამიზნე ქვეყნებში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და დიალოგის გააქტიურებას როგორც ევროკავშირთან ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

ამასთან, პროექტის განხორციელება საშუალებას მისცემს სამოქალაქო საზოგადოებას შეძენილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ზეგავლენა მოახდინოს სამეზობლო პოლიტიკასა და სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მონიტორინგსა და მათ ეფექტურ განხორციელებაზე, რაც თავის მხრივ შეიძლება წარიმართოს არასამთვრობოთა კოალიციების შექმნის და გაძლიერების, სამეზობლო პოლიტიკის/სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის გარშემო დისკუსიების გააქტიურების და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდის გზით.

წინამდებარე დოკუმენტი შეიქმნა 14-15 ივლისს თბილისის შეხვედრაზე განხილული თემებისა და სამუშაო ჯგუფებში შემუშავებული რეკომენდაციების მიმოხილვის საფუძველზე.

აღნიშნულ შეხვედრაზე ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და მიმდინარე პროექტის მიზნების პრეზენტაცია წარმოადგინეს ევროსტეპის და საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლებმა — მარია სკოვმა და მარტინ კლაუცკემ. საქართველოს მიერ სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულებაზე და ევროკავშირის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - ქვეყნის სტრატეგიული ანგარიშის შესახებ იმსჯელეს ევროინტეგრაციის საკითხებში, სახელმიწიფო მინისტრის სამსახურის წარმომადგენელმა ბატონმა რომან კაკულიამ, არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" თავმჯდომარემ, ქალბატონმა მანანა ქოჩლაძემ. დისკუსიებში და სამუშაო ჯუფების მუშაობაში მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოების 30-მდე წარმომადგენელი.

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია შეხვედრის ანგარიში, სადაც აღწერილია ქართველი და უცხოელი მონაწილეების მიერ შეხვედრისას განხილული საკითხები და პრობლემები, მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციების ჩამონათვალი, რომელიც პასუხობს იმ ახალ გამოწვევებს, რაც უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მიმდინარე რეფორმების განხორციელების ეტაპზე გამოვლინდა კანონის უზენაესობის დამკვიდრების, ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და კარგი მმართველობის, ეკონომიკური, სოციალური განვითარების, გენდერული თანასწორობის და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის სფეროებში.

თბილისის სამუშაო შეხვედრაზე გამოსულმა მომხსენებლებმა დიდი დრო დაუთმეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის არსისა და შინაარსის განმარტებას, მათ დაწვრილებით განიხილეს სამეზობლო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მხარეები, მის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტები და ევროპის სამეზობლო და თანამშრომლობის ინსტრუმენტები. კერძოდ, ევროსტეპისა და ევროკომისიის წარმომადგენლებმა პრეზენტაციის დროს ყურადღება გაამახვილეს სამეზობლო პოლიტიკის მთელ რიგ ასპექტებზე.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა 2004 წლის მაისში გამოქვეენებულ სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიაში, განსაზღვრავს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში. მისი მიზანია სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა მეზობელ ქვეყნებში. საქართველო 15 სხვა ქვეყანასთან ერთად (ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბია, ლებანონი, მაროკო, პალესტინა, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, სომხეთი, უკრაინა) სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყანა 2004 წელს გახდა. პოლიტიკის ერთ-ერთი საბაზისო პრინციპია დაეხმაროს მეზობელ ქვეყანას შიდა რეფორმების განხორციელებაში თანასწორი თანამშრომლობის საფუძველზე, რაც გულისხმობს საერთო ფასეულობებზე ურთიერთვალდებულებების გაზიარებას შემდეგ სფეროებში: კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, ადამიანის უფლებები, კარგი სამეზობლო ურთიერთობები, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და მდგრადი განვითარება.

ამასთან, გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა არ განიხილავს ევროკავშირის წევრობის საკითხს, რითაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირში გაწევრიანების პოლიტიკისაგან. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროპა მის მეზობლებს სთავაზობს პრივილეგირებულ ურთიერთობებს და წარმოადგენს ევროკავშირის გაფართოების პროცესის ალტერნატივას.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია, ასევე, აყალიბებს სამეზობლო პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო ფინანსურ საშუალებებს, კერძოდ იმას, თუ როგორ უნდა წარმართოს ქმედებები ევროკავშირმა, რათა გაუნაწილოს მეზობელ ქვეყნებს გაფართოებით მიღებული სარგებელი. სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგიის ბაზაზე ევროკავშირის ცალკეულ მეზობელი ქვეყნის მთავრობასთან შეთანხმებით ადგენს სამოქმედო გეგმას და ამ გეგმის შესრულების ვადებს.

2007 წელს ევროკომისიამ სცადა გაეძლიერებინა ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და შეიმუშავა ევროპის სამეზობლო პოლიტიკა პლუსი (ENP+). ეს უკანასკნელი დოკუმენტი აძლიერებს სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში უკვე მიმდინარე რეგიონალურ, თემატურ, ადამიანურ და სხვა მიმართულებებს.

2007 წლიდან, ასევე, ძალაში შევიდა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს "განვითარება კეთილდღეობისა და კარგი მეზობლობისათვის" და რომელიც ევროკომისიისათვის წარმოადგენს მეზობელი ქვეყნების დასახმარებელ ფინანსურ ინსტრუმენტს. პროგრამები დაყოფილია გეოგრაფიულ, ჰორიზონტალურ, თემატურ და ევროკავშირის ერთობის პროგრამებად. მაგალითად, გეოგრაფიული ინსტრუმენტი განკარგავს 11.8 მლრდ. ევროს ბიუჯეტს 2007-2013 წლებისათვის და მოიცავს მხოლოდ 16 მეზობელ ქვეყანას. სხვა ინსტრუმენტები ფარავს არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებს, არამედ ევროკავშირის წევრ ქვეყნებსაც. სხვა პროგრამებიდან თემატური პროგრამა გულისხმობს ინვესტირებას შემდეგ სფეროებში: ა) ადამიანებში — ადამიანური და სოციალური განვითარება, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, შიდსი, განათლება, გენდერი, ბავშვთა უფლებები; ბ) არასამთავრობო სექტორი და ადგილობრივი ხელისუფლების განვითარება; გ) გარემოსდაცვა და

ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა; დ) საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ე) თანამშრომლობა მესამე ქვეყნებთან ისეთ საკითხებში როგორიცაა მიგრაცია და ლტოლვილები; ვ) დემოკრატია და ადმიანის უფლებების დაცვა.

ამავე პერიოდში ევროკავშირის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის საფუძველზე დაიწყო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი, რომელიც გულისხმობდა ყოველი ცელკეული მეზობელი ქვეყნისათვის 2007-2013 წწ. სტრატეგიული დოკუმენტების (განსაზღვრავს თანამშრომლობის ხანგრძლივ ვადიან მიზნებს და სტრატეგიულ პრიორიტეტებს) და მრავალწლიანი 2007-2010 წწ. ინდიკატორული გეგმების (შეიცავს სექტორალური და ჰორიზონტალური საკითხებს, სპეციფიკურ მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს და ბიუჯეტს) შემუშავებას, რომელიც თავის მხრივ საჭიროებს ასახვას წლიურ სამოქმედო გეგმებში.

2007 წლის მანძილზე საქართველოს მიმართ ევროკავშირის მიერ წარმართული პოლიტიკის შესახებ, ეროვნულ სამუშაო შეხვედრაზე იმსჯელა საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელმა. მან დამსწრეთ კიდევ ერთხელ განუმარტა ევროკომისიის პოზიცია იმის შესახებ, რომ სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყანამ ევროკავშირთან შეთანხმების საფუძველზე თავად განსაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტები.

ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ 2006 წლის 14 ნოემბრის შემდეგ, როდესაც შედგა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა მეზობელი ქვეყნებისათვის ევროკავშირის სამოქმედო გეგმის (2007-2011 წწ.) ინაუგურაცია, დაიწყო შესრულების მონიტორინგის პროცესი. მონიტორინგი და შესაბამისად სამოქმედი გეგმის შესრულების შეფასების მიმდინარეობაში საქართველოსა და ევროკავშირის მხირდან ჩართულნი არიან საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტი, ასევე ვაჭრობის, ეკონომიკის, სამართლისა და უსაფრთხოების ქვეკომიტეტები.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასებას ევროკომისია აქვეყნებს ყოველწლიური ანგარიშის სახით. ანგარიშის მომზადებისას მიმდინარებს კონსულტაციები ძირითად დაინტერესებული მხარეებთან, როგორიცაა ადგილობრივი ხელისუფლება, სამოქალაქო საზოგადოება და ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენლობა. ასევე, მხედველობაში მიიღება ხელისუფლების მიერ შემუშავებული წლური სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შუალედური გადახედვა იწყება 2009 წლიდან, რომლიდ საფუძველზეც მოხდება ახალი ინდიკატორული გეგმების მომზადება 2011-2013 წწ.-თვის.

ევროკომისიის დელეგაციის წარმომადგენელმა, მარტინ კლაუცკემ შეხვედრაზე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ 2008 წლის 3 აპრილს ევროკომისიამ უკვე გამოაქვეყნა სამუშაო დოკუმენტი "2007 წლის საქართველოს ანგარიში", რომელიც აფასებს საქართველოს მიერ სამოქმედო გეგმის განხორციელებისას 2007 წელს მიღწეულ პროგრესს. დოკუმენტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული რამოდენიმე მიმართულებით გარკვეულ პროგრესს მიაღწია (კონკრეტულად ეს ეხება სახელმწიფო შემოსავლების ზრდას და კორუფციასთან ბრძოლას, ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესებას, საბაჟო და საგადასახდო სისტემების რეფორმირებას), გამოიკვეთა სფეროები, სადაც ევროკომისია კვლავაც ელის ხელისუფლების მხრიდან რეფორმების გააქტიურებას, რაც დააჩქარებს სამოქმედო გეგმის განხორციელებას საქართველოში. 2008 წლის შუალედურ ანგარიშში პრობლემების არსებობა აღიარებულია შემდეგ სფეროებში::

- საკვების უსაფრთხოება,
- შრომის კოდექსი;
- კერძო საკუთრების დაცვა;
- საბაჟო კოდექსი;

- წამების წინააღმდეგ ეროვნული პრევენციული მექანიზმების შექმნა;
- ადამიანის უფლებების დაცვა, ომბუცმენის ინსტიტუტის გაძლიერება;
- საჯარო სამსახურის კოდექსი;
- სტატისტიკის სამსახურის დამოუკიდებლობა და მონაცემთა სანდოობის საკითხი;
- ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებლობა;
- მიგრაციის პოლიტიკა;
- მდგრადი განვითარების სტრატეგია;
- რეფორმები საზღვრის დაცვის სფეროში.

საქართველოს მონაწილეობა სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში

ეროვნულ სამუშაო შეხვედრაზე საქართველოს ევროინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის სამსახურის წარმომადგენლმა, ბატონმა რომან კაკულიამ, ყურადღება გაამახვილა ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების დინამიკაზე, მან ხაზი გაუსვა, რომ ეს ურთიერთობები ვითარდება ორი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს სამეზობლო პოლიტიკის მოქმედების საზღვრებს: პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება (საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1999წ. 1 ივლისს) და ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა (ხელმოწერილია 2006წ. 14 ნოემბერს).

პარტნიორობის ხელშეკრულებით ევროკავშირმა და საქართველომ ორმხრივად აიღეს ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა ორმხრივ სასარგებლო და საინვესტიციო ურთიერთობებს, აგრეთვე თანამშრომლობას ეკონომიკის, სოციალურ, ფინანსურ, მეცნიერების, ტექნოლოგიისა და კულტურის სფეროში, კერძოდ, პარტნიორობის მიზანი იყო საქართველოს სრულყოფილი დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობა.

ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელება ოფიციალურად დაიწყო 2007 წლიდან. მას შემდეგ ორივე მხარემ, როგორც ევროკავშირმა, ასევე საქართველომ, ინტენსიურად დაიწყო მსჯელობა სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ინსტრუმენტებისა და წლიური გეგმების შემუშავებაზე, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრა კონკრეტული ღონისძიებების დეტალები და მათი განხორციელების ვადები.

სამოქმედო გეგმის ინაუგურაციის შემდგომ პერიოდში ევროკომისიამ საქართველოს შესახებ გამოაქვეყნა ქვეყნის ***სტრატეგიული ანგარიში და ინდიკატორული პროგრამა,*** რომლებიც განსაზღვრავს ევროკომისიის საქმიანობას და საქართველოსათვის გამოყოფილ რესურსებს მომავალი 3 წლის განმავლობაში. საქართველოს მთავრობამ, თავის მხრივ, შეიმუშავა საქართველო-ევროკავშირის ***სამოქმედო გეგმის განხორციელების მთავრობის სტრატეგია — 2007,*** მოგვიანებით კი 2008, სადაც განსაზღვრულია გეგმის ფარგლებში ერთი წლის მანძილზე განსახორციელებელი ღონისძიებები. აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე ევროკომისია ახორციელებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს.

როგორც ევროინტეგრაციის სახლმწიფო მინისტრის სამსახურის წარმომადგენელმა განაცხადა, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების შეფასება საქართველოს მთავრობასაც სურს და თავადაც აპირებს მის განხორციელებას, რადგანაც დაინტერესებულია სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგებით და ხარისხით.

მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობების ზრდისათვის სახელმწიფო ინსტიტუტებში გასულ წელს ჩატარდა სემინარები და ტრენინგები, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები გაეცნენ მონიტორინგის პროცესის მიმდინარეობას. ბატონმა რომან კაკულიამ ხაზი გაუსვა, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების შესაძლებლობები სახელმწიფო უწყებებში მცირეა, არსებობს სამეთვალყურეო მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უწყებაში ტარდება მოსმენები მიმდინარე პროექტების განხორციელების შესახებ. ამავე დროს, მთავრობა მხედველობაში იღებს ევროკავშირის მიერ მომზადებულ ანგარიშებს და მისი დახმარებით ყველა პროექტის/პროგრამის შეფასებას ახდენს.

რაც შეეხება თვითონ პროგრამირების ეტაპს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს ეტაპი დარგობრივი სამინისტროების მიერ უნდა იყოს მომზადებული და მათი პრეროგატივაა

დროში გაწერონ და ფინანსურად შეაფასონ განსახორციელებელი ღონისძიებები.

ამასთან, ბატონი რომან კაკულიას აზრით, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვანი იქნება სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში რამოდენიმე მიმართულებით, კერძოდ

- კონსულტაციები არასამთავრობო სექტორთან;
- საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება;
- მონიტორინგის განხორციელება.

თუმცა ამ უკანასკნელი საკითხის განხილვისას მომხსენებელმა დაამატა, რომ არასამთავრობო სექტორს მონიტორინგის განსახორციელებლად გარკვეული კვალიფიკაციის მიღება დასჭირდება, რადგანაც მონიტორინგის სრულყოფილი განხორციელება დამოუკიდებელი ინსტიტუტისათვის საკმაოდ შრომატევად და რთულ ამოცანას წარმოადგენს, მით უმეტეს, თუ მონიტორინგის მნიშვნელობა მისი სრული შინაარსით იქნება გაგებული, რაც გულისხმობს ხუთპრინციპიანი სისტემის ამოქმედებას.

ეროვნულ სამუშაო შეხვედრაზე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა გაანალიზეს ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტი 2007-2013 წწ. მათ მიმოიხილეს დოკუმენტში აღწერილი ევროკავშირის საქართველოსთან თანამშრომლობის მიზნები და მიმდინარე რეფორმები სახელმწიფო და ეკონომიკურ, კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების დაცვის სექტორში, კორუფციასთან ბრძოლის და სიღარიბის აღმოფხვრის ღონისძიებები.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ევროკავშირისა და საქართველოს სტრატეგიული დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე მუშაობის პროცესში შედგა კონსულტაციები წევრ სახელმწიფოებთან, სხვა დონორებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტი განსაზღვრავს ევროკომისიის ფინანსურ დახმარებას საქართველოსათვის 2007-2013 წწ. ეს დახმარება მოცემულ პერიოდში უპირველეს ყოვლისა მიმართული იქნება სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაკენ და ასევე საუკუნის განვითარების მიზნების მიღწევისაკენ.

ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტი, ასევე, მკაფიოდ განსაზღვრავს ევროკავშირის საქართველოსთან თანამშრომლობის მიზნებს. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს გააჩნიათ საერთო საგარეო-პოლიტიკური მიზნები. ევროკავშირი ხელს უწყობს ქვეყანაში კეთილდღეობას, სოლიდარობას, უშიშროებას და სტაბილურ განვითარებას, რომლის მისაღწევადაც ევროკავშირი აპირებს გამოიყენოს ყველა შესაფერისი საგარეო ინსტრუმენტი.

ამასთან, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, სამეზობლო პოლიტიკა ხელს უშლის ევროპაში ახალ გამყოფი საზღვრების გაჩენას და უფრო მჭიდრო თანამშრომლობას სთავაზობს მეზობელ ქვეყნებს. ამის საფუძველზე სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორი ქვეყნები ევროპისაგან მოელიან ევროკავშირის პროგრამებში აქტიურ მონაწილეობას, ევროკავშირის შიდა ბაზარზე შესვლის შესაძლებლობის მიღებას, მნივშნელოვანი მხარდაჭერის მიღებას პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საქმეში.

ასევე, ევროკავშირი საქართველოს განიხილავს როგორც კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის ტრასნპორტირების მნიშვნელოვან სტრანზიტო მაგისტრალად, ალტერნატიულ ენერგეტიკულ დერეფნად, რაც პასუხობს ევროკავშირის მოთხოვნებს ენერგომომარაგების საიმედოობაზე. ევროპის უშიშროების სტრატეგია და ევროკომისიის მწვანე დოკუმენტი სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს ანიჭებს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. ბაქო-თბილისი – ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზის მილსადენი, რომელიც კასპიის ზღვის აუზს საქართველოს გავლით თურქეთთან აკავშირებს, ევროკავშირისთვის უკვე გახდა სტრატეგიული ალტერნატიული ენერგეტიკული დერეფანი.

<u>ევროპის განვითარების კონსენსუსის</u> თანახმად ევროკავშირის განვითარების პოლიტიკის უმთავრესი მამოძრავებელი მიზანია სიღარიბის დაძლევა. დამატებითი მიზნებია კარგი მმართველობის ხელშეწყობა და ადამიანთა უფლებების მეტი პატივისცემა, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობისა და უშიშროების უზრუნველყოფას რეგიონალურ კონტექსტში. საქართველოს, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) საშუალოდ 1350 აშშ დოლარს შეადგენს (მსოფლიო ბანკის 2005წ. შეფასება) OECD-ის განვითარების მხარდაჭერის კომიტეტის დახმარების მიმღებთა

ნუსხაში კლასიფიცირდება როგორც საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყანა. მიუხედავად ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდისა, მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი საარსებო მინიმუმის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. ამის გამო, საქართველოსთან ევროკავშირის თანამშრომლობის მიზნების განსაზღვრისას სრულად იყო გათვალისწინებული განვითარების პოლიტიკური მიზნები, განსაკუთრებით — საქართველოს მხარდაჭერა საუკუნის განვითარების მიზნების მიღწევის საქმეში.

შეხვედრაზე გამომსვლელებმა დადებითად მიიჩნიეს ის ფაქტი, რომ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია სიღარიბის შემცირებისა და გარდამავალი ეკონომიკის სოციალური ზემოქმედების გაზრდაზე, კანონის უზენაესობის დამკვიდრებაზე. ასევე, დადებით მოვლენად შეფასდა ის ფაქტი, რომ სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად ევროკომისიამ მზადყოფნა განაცხადა აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონფლიქტების გადაწყვეტის პროცესში. შეხვედრის მონაწილეთა აზრით, დღეს პოლიტიკურ დონეზე ევროკავშირი სწორედ დოკუმენტის დებულებებს ახორციელებს - ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ესწრება კონფლიქტის გარშემო გამართულ თითქმის ყველა მოლაპარაკებას და ეს ყველაფერი ითარგმნება კონკრეტულ საქმიანობებში - ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამებსა და სამშვიდობო ინიციატივებში. ამასთან, დადებითი შეფასება მიეცა იმასაც, რომ ზოგადად ევროკავშირის პროგრამებში შემცირებულია ტექნიკური დახმარების წილი და ის ჩანაცვლებულია ბიუჯეტური და სექტორალური დახმარებით.

შეხვედრის მონაწილეებმა გაიზიარეს აზრი, რომ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ დელეგაციას შორის საკმაოდ ნაყოფიერი თანამშრომლობა არსებობს, რაც, თავის მხრივ დამოკიდებულია თვით დელეგაციის მხრიდან თანამშრომლობის ღია პრინციპზე. შესაბამისად, გამომსვლელებმა აღიშნეს, რომ მსგავსი თანამშრომლობის/კონსულტაციების ეფექტურობა უფრო გაიზრდებოდა, თუ დაგეგმვის (პროგრამირების) ციკლში, მათ შორის, ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტისა და ეროვნული ინდიკატორული გეგმის გადახედვისა და შემუშავების პროცესში, იარსებებდა მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპები და სტრუქტურირებული პროცედურა საზოგადოების მოსაზრებების გასათვალისწინებლად.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ გარკვეული გამოცდილება ამ საკითხების გარშემო უკვე არსებობს. სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა 2005-2007 წლებში საქართველო-ევროკაშირის სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. 2005 წლის სექტმბერში სამოცდაათამდე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მონაწილეობით და ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს, ჰაინრიხ ბიოლისა და ევრაზიის ფონდების მხადაჭერით შემუშავდა რეკომენდაციები დოკუმენტზე მუშაობის პროცესში გასათვალისწინებლად, რამაც გაზარდა სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობა და დაინტერესება გეგმის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების მიმართ.

2006 წლიდან ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს, ჰაინრიხ ბიოლისა და ევრაზიის ფონდების ახალი ინიციატივის ფარგლებში ჩამოყალიბდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მონიტორინგის ჯგუფი, გამოდის ყოველთვიური ბიულეტენი "ევროპის სამეზობლო პლიტიკა და საქართველო", საზოგადოებრივი დებატების ხელშესაწყობად პერიოდულად ეწყობა დისკუსიები ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების სხვადასხვა საკითხებზე. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ მხარეს (www.enp.ge). ფონდების ინიციატივის ფარგლებში მომზადდა რეკომენდაციები "საქართველოს სამოქალაქო სექტორი ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების შესახებ 2007-2009", რომელიც ევროკომისიის წარმომადგენლებს წარედგინათ 2007 წლის ნოემბერში. ამასთან თანამშრომლობის პერიოდი დაემთხვა შენიშვნების მიღების ვადებს, რომელიც ევროკომისიამ გამოაცხადა 2007 წლის პროგრესს/ანგარიშის მომზადებისას. თანამშრომლობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა

როგორც არსამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ასევე ევროკომისიისთვის.

2008 წლის ივნისიდან სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები კვლავაც აგრძელებენ სამოქმედო გეგმის მონიტორინგს. შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციური ჯგუფები, რომლებიც ახორციელებელ მიმდინარე პროგრამების შეფასებას; გრძელდება ყოველთვიური ბიულეტენის გამოცემა. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა წარუდგინეს სამოქალაქო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შესახებ", რომელიც ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოსა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა. აღნიშნული კვლევის მიზანი იყო ევროკავშირის სამოქმედო გეგმის მიზნებთან მიმართებაში სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების დადგენა და სექტორში არსებული საექსპერტო შესაძლებლობებისა და საჭიროებების შეფასება.

სტრატეგიული დოკუმენტთან დაკავშირებული სიტუაციის ანალიზი: ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროების განვითარების ძირითადი გამოწვევები

სამოქალაქო საზოგადოების კომენტარები ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტში განხილული საკითხების მიმართ სამუშაო შეხვედრაზე წარმოადგინა ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა, ქალბატონმა მანანა ქოჩლაძემ. მან ყურადღება გაამახვილა სტრატეგიულ დოკუმენტში აღწერილ საქართველოს პოლიტიკურ პროგრამაზე და კომენტარები გაუკეთა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში მოცემულ შეფასებებს.

მანანა ქოჩლაძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ სტატეგიულ დოკუმენტში აღწერილი საქართველოს პოლიტიკური პროგრამა ზოგადად დადებითად შეიძლება შეფასდეს, სამოქალაქო საზოგადოებას კონკრეტული შენიშვნები აქვს ევროკომისიის ზოგიერთი მიდგომის მიმართ. მაგალითად, ევროკომისია არ ამახვილებს ყურადღებას სწრაფი ლიბერალიზაციის პროცესებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე, რომელიც საქართველოში თითქმის ყველა სექტორში იჩენს თავს. ეს განსაკუთრებით ეხება კორუფციასთან ბრძოლის დევიზით ზოგიერთი ისეთი სამსახურების გაუქმებას, როგორიცაა ანტიმონოპოლური და ფიტოსანიტარული სამსახურები. ასევე, საზოგადოებას აშფოთებს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში არასტაბილური სიტუაცია იქმნება საკანონმდებლო სივრცესა და საკადრო პოლიტიკაში მიმდინარე სწრაფი და არათანმიმდევრული ცვლილებების გამო.

მანანა ქოჩლაძემ გამოსვლაში აღნიშნა, რომ ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტი ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის "*Doing Business in 2007*" საქართველოს პირველ ადგილს ანიჭებს რეფორმების ინტენსივობის მიხედვით, ხოლო საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების კუთხით 112 ადგილიდან საქართველო 37 ადგილზე ინაცვლებს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კვლევის მიხედვით საქართველოს მიერ მოპოვებული რეიტინგი ძირითადად განაპირობა შრომის კანონმდებლობაში შესულმა რეფორმებმა, რითაც მოიხსნა შეზღუდვები სამუშაო საათებზე და დათხოვნის პროცედურებზე, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეამცირა დათხოვნის ხარჯები. ამასთან, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ახალი შრომითი კოდექსი მკაცრად იყო გაკრიტიკებული როგორც თავისუფალი პროფკავშირების კონფედერაციის მიერ *(ICFTU)*, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის *(ILO)* მიერ. მანანა ქოჩლაძეს აზრით დღეს საქართველოში მოქმედი შრომის კოდექსი საკმაოდ პრობლემატურია ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობათა ჭრილში, რადგანაც ის არ შეიძლება განხილული იყოს როგორც ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის კარგი მაგალითი, ხოლო გენდერული კუთხით ერთგვარ დისკრიმინაციულ დებულებებსაც შეიცავს.

მანანა ქოჩლაძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სიტუაციის ანალიზი სტრატეგიულ დოკუმენტში მეტ-ნაკლები სისრულით არის ასახული, მათ შორის დაფიქსირებულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიული მმართველობის, პენიტენციალური და კანონის აღსრულების სფეროში არსებული პრობლემები - დოკუმენტის ყურადღების მიღმა დარჩა უკანასკნელ ხანს მედიის თავისუფლებისა და ძირითადი უფლებების სფეროში შექმნილი პრობლემები. ამის მიზეზად მომხსენებელმა დაასახელა ის, რომ დოკუმენტის დაწერის დროს მედიის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემები ისე მწვავედ არ იდგა საზოგადოების წინაშე, როგორც ეს დღეს დგას.

შეხვედრის მონაწილეებმა გაიზიარეს ის აზრიც, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში საქართველომ საკუთარი ნიშა უნდა იპოვოს და ბრმად არ გაიმეოროს სხვა მეზობელი ქვეყნის მაგალითები. სიტუაციის შეფასება სიღარიბისა და ეკონომიკური განვითარების

კუთხით, აგრეთვე ადამიანის უფლებებისა და მედიის თავისფლების კუთხით მოითხოვს უფრო ბალანსირებულ მიდგომას, პრობლემების სწორი დიაგნოზირების მიზნით.

მაგალითად, ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, რომლის საფუძველზეც საქართველო სარგებლობს პრივილეგირებული ერის სტატუსით, მათ შორის ევროკავშირის პრეფერენციების სისტემით, და აქვს CSP+. თუმცა, ამ სისტემის სრულყოფილი გამოყენება ჯერ არ დაწყებულა და ვაჭრობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის საკმაოდ მცირეა. ამასთან, შეხვედრის მონაწილეები დაეთანხმნენ მომხსენებელის იმ აზრს, რომ, ერთის მხრივ, მიმდინარე რეფორმა ვაჭრობის ინტენსივობას უფრო მეტ ბარიერს უქმნის, ხოლო მეორეს მხრივ, ქართული პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტი მეტ ფასილიტაციას საჭიროებს. გამომსვლელთა აზრით, არსებული პრობლემების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ ეკონომიკურ სექტორში არსებული პრობლემების დამოუკიდებელი და დეტალური შესწავლით, და არა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დაჩქარებით.

მსგავსი მიდგომების გათვალისწინებას საჭიროებს ვიზების ფასილიტაციის საკითხიც, რომელიც ითვალისწინებს რეადმისიის ხელშეკრულების გაფორმებას. ამასთან, შეხვედრის მონაწილეების აზრით აუცილებელია საკითხის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა, რომ ამ პროცესში საქართველოს და მისი მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

ასევე, პრობლემები არსებობს სოციალური დაცვის სფეროშიც. იმისათვის, რომ დათვლილი იყოს სიღარიბის დონე, საქართველოში გამოიყენება ოფიციალური ინდიკატორი ე.წ. მინიმალური სამომხმარებლო კალათა, რომელიც ეყრდნობა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ ჯანმრთელი ზრდასრული ადამიანისათვის შემუშავებულ ნორმებს. იმის გამო, რომ 2005 წელს მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით მინიმალური სამომხმარებლო კალათის დათვლის ნორმები შეიცვალა, საქართველოს მოსახლეობისათვის შემცირდა საკვების მინიმალური მოხმარების ნორმა, რამაც შესაბამისად გამოიწვია სიღარიბის ზღვარის ქვეშ მყოფი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება 50%-დან 35%-მდე. ასევე, აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი, რომელიც გამოიყენება ევროკავშირში სიღარიბის განსასაზღვრავად, მაგალითად, საწვავის სიღარიბე, არ გამოიყენება საქართველოში, რაც ქმნის პრობლემებს სიღარიბის სიღრმის განსაზღვრისას, რადგანაც ეს უკანასკნელი დაფუძნებულია მხოლოდ მინიმალური სამომხმარებლო კალათაზე.

შეხვედრაზე მანანა ქოჩლაძემ ყურადღება ასევე გაამახვილა გარემოსდაცვით პროფილზე, რომელიც თან ერთვის სტრატეგიულ დოკუმენტს. დოკუმენტის ეს ნაწილი, მომხსენებლის აზრით, იმის ნათელ მაგალითს წარმოადგენს, თუ რამდენად ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობა სჭირდება მსგავსი დოკუმენტების მომზადებას.

იმის გამო, რომ დოკუმენტში **საზოგადოების მონაწილეობა სუსტად არის ასახული, ასევე, საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა სუსტია, ამ პირობებში სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების განვითარება ქვეყანაში სარისკოა.** მაგალითად, 1996 წლის გარემოსდაცვითი ნებართვის კანონი მოიცავს გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების საკითხს, თუმცა 2005 წლის ახალმა კანონმა ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ მთლიანად შეცვალა გარემოსდაცვითი ნებართვების კანონი და ამის შედეგად როგორც ნებართვების გაცემის პროცესი, ასევე, მისი მთლიანი შინაარსი შეიცვალა. შესაბამისად, მთავრობა აღარ არის პასუხისმგებელი საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფაზე, ასევე, გარემოზე ზემოქმედების შეფასება აღარ არის სავალდებულო ნავთობის, გაზის თუ ოქროს მოპოვების პროექტებისათვის და სხვა.

შეხვედრაზე გამართულ დისკუსიაში გამოითქვა მოსაზრებები სხვა სექტორების შესახებაც, რომლის საფუძველზეც ზემოთ აღნიშნული პრობლემების ნუსხა შეიძლება გაგრძელდეს. კერძოდ, ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტში კანონის უზენაესობის

დაცვისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროს მიმოხილვისას აშკარად ჩანს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ნაკლებ პრიორიტეტულობა.

გარდა ამისა, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სტრატეგიულ დოკუმენტში ადეკვატურად არ არის ასახული შემდეგი პრობლემები:

- **სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა;**
- **სისხლის სამართლის პოლიტიკა;**
- **წამების აკრძალვა, განსაკუთრებით სასჯელაღსრულების დაწესებულებების დონეზე - ქვეყანაში <u>არ არსებობს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმი;</u>**
- **გამოხატვის და მედიის თავისუფლება, მიუხედავად კანონმდებლობის დახვეწისა, მიმდინარეობს მედიის თავისუფლებების რეალური შეზღუდვა, საზოგადოებაში არსებობს შიშის სინდრომი და არ არსებობს საზოგადოების წევრების დაცვის გარანტიები;**
- **უმცირესობათა ინტეგრაციის პრობლემა. მომზადებული კანონპროექტები, ინიცირებული, მაგრამ არ ხდება მისი მიღება (მესხთა რეპატრიაცია, რესტიტუცია).**
- **ომბუცმენის ინსტიტუტის სუსტი კომპეტენცია — ობიექტური მოღვაწეობის და მწვავე განცხადებების პირობებში ხელისუფლება არ ისმენს მის ანგარიშებს.**

მანანა ქოჩლაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ პრობლემების გადაწყვეტას შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოსა და ადმინისტრაციული სტრუქტურების, ინსტიტუციური შესაძლებლობების, გამჭვირვალობის და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაუმჯობესებაში, რაც სხვა დადებით შედეგებთან ერთად, საქართველოს ხელისუფლებაში კარგი მმართველობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

გამომსვლელმა ასევე აღნიშნა, რომ სტატეგიული დოკუმენტი არ წარმოდგენს წარმატებულ ნაბიჯს ევროკავშირის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების კუთხითაც, ეს ეხება როგორც ჰორიზონტალურ საკითხებს, ასევე, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თემასაც. სტრატეგიული დოკუმენტის ტექსტში გენდერული პერსპექტივა ზოგადადაა მოხსენიებული და არ მოითხოვს არანაირ სპეციფიურ ქმედებებს არც მთავრობისაგან და არც ევროკომისიისაგან, რაც უზრუნველყოფდა გენდერული თანასწორობის სტანდარტების განხორციელებას ENPI ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებსა და პროგრამებში.

სხვა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებთან ერთად, მანანა ქოჩლაძემ მიმოიხილა ევროკომისიის მიერ საქართველოსათვის 1996-2006 წლებში გაწეული დახმარება, რომელიც აღწერილია სტრატეგიულ დოკუმენტში. რეგიონალური პროექტების გარეშე ეს დახმარება შეადგენს 500 მლნ ევროს. მომხსენებლის აზრით, დოკუმენტში არ არის ხაზგასმული, რომ საქმიანობები წარმატებულად ხორციელდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობდა მთავრობის მხრიდან სრული საკუთრების გრძნობა, კერძოდ, ყურადღების მიღმა არის დარჩენილი ის ფაქტი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია არსებობდეს საზოგადოების მონაწილეობა დახმარების პროგრამების დაგეგმვისას. შეხვედრის მონაწილეები დაეთანხმნენ იმ აზრს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კონსულტაციები და მონაწილეობა მიმდინარეობდეს გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე და ყველა სფეროში, რადგანაც თავიდან იყოს აცილებული პროექტების ჩავარდნა.

მანანა ქოჩლაძემ რამოდენიმე კომენტარი ასევე გააკეთა ევროკომისიის მიერ შემუშავებულ ეროვნული ინდიკატორული პროგრამის 2007-2011 შესახებ.

მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, რომ ეროვნული ინდიკატორული პროგრამა, რომელიც მოიცავს 2007-2010 წწ. პერიოდს, ითვალისწინებს ევროკავშირის დახმარებას შემდეგი 4 პრიორიტეტული მიმართულებით:

1. დემოკრატიული განვითარება, მართლწესრიგი და მმართველობა;
2. ეკონომიკური განვითარება და სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება;
3. სიღარიბის დაძლევა და სოციალური რეფორმების გატარება;
4. საქართველოს შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგება.

ინდიკატორული პროგრამა ანაწილებს ევროკომისიის მიერ ცალკეული ამ პროგრამისათვის გამოყოფილ თანხებს — 31.5 მლნ ევრო, 31.5 მლნ ევრო, 38.4 მლნ ევრო და 19 მლნ ევრო შესაბამისად.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ევროკომისიამ მიზნად დაისახა დაეხმაროს ქვეყანას მიაღწიოს საუკუნის განვითარების მიზნებს სოციალური რეფორმების განმტკიცებით ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში, რადგანაც ეს ერთადერთი აქტივობაა, რომელიც მოწყვლად ჯგუფებზეა ორიენტირებული და რადგანაც ჯანმრთელობის დაცვის სექტორში საგანგაშო მდგომარეობისას შეიქმნა. ზოგადად ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტი ნათლად მიუთითებს ჯანმრთელობისა და პირველად განათლების სექტორში არსებულ უარყოფით ტენდენციებზე, თუმცა შედარებით ცოტა რესურსია გამოყოფილი იმ სირთულეების დაძლევაზე, რასაც ეს სექტორი საჭიროებს.

ევროკომისიის გადაწყვეტილება, რომ გააუმჯობესოს განათლების დონე, ასევე დადებით შეფასებას იმსახურებს, თუმცა მომხსენებლის აზრით უმჯობესი იქნებოდა, თუ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა პირველადი განათლების სისტემას და პირველადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სფეროში წარმოჭრილ პრობლემების დაძლევას. ასევე ინდიკატორულ გეგმაში არ ექცევა საკმარისი ყურადრება არც გენდერულ საკითხს და არც გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფას. არც სტრატეგიული დოკუმენტი და არც ინდიკატორული გეგმა არ აღიარებს სპეციფიკური ქმედებების ან სტრატეგიის შექმნის აუცილებლობას, რომელიც მოახდენდა გარემოსდაცვითი მიზნების ინტეგრირებას ქვეყნის მიერ განხორციელებულ პროექტებში და პროგრამებში.

კონკრეტული რეკომენდაციები სამეზობლო პოლიტიკის შესახებ (საზოგადოების მონაწილეობა, გამჭვირვალობა, სამოქალაქო საზოგადოებასთან დიალოგი, საბიუჯეტო მხარდაჭერის საკითხი და სხვ.

ეროვნულ სამუშაო შეხვედრის მონაწილეებმა სამუშაო ქვეჯგუფებში გააგრძელეს მუშაობა. საერთო შეხვედრაზე მოსმენილი მოხსენებების და გამართული დისკუსიის საფუძველზე მონაწილეებმა შეიმუშავეს კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც, მათი აზრით, დაეხმარება ევროკომისიას საქართველოში სამოქმედო გეგმის განხორციელება უფრო ეფექტური გახადოს. კერძოდ, სამუშაო ქვეჯგუფებში შესრულებული სამუშაოს შედეგად ევროკომისიას წარედგინა შემდეგი შინაარსის რეკომენდაციები:

ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები

- საქართველოს მთავრობისა და საზოგადოებისათვის სამეზობლო პოლიტიკის მიმზიდველობის გაზრდა (სასურველია, რომ დაზუსტდეს მიზანი — რას სთავაზობს ევროკავშირი საქართველოს სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულებით და რა ვადებში არის შესაძლებელი ამ მიზნის მიღწევა).

რეკომენდაციები საზოგადოების თანამონაწილეობის/ჩართულობის გაზრდის შესახებ

შეხვედრის მონაწილეებმა ევროკომისიას რეკომენდაცია მისცეს პროგრამის/ პროექტის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს საზოგადოების აქტიური თანამონაწილეობით, რაც გულისხმობს:

- საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა მონიტორინგის და შეფასების პროცესში ორგანიზაციების ფართო სპექტრის ჩართვით, რაც არ შემოიფარგლება მხოლოდ ხუთიოდე არჩეული ორგანიზაციით, როგორც ეს აქამდე ხდებოდა;

- პროცედურების შემოღება და დამკვიდრება, რაც დაადასტურებს მთავრობის ნებას სამოქალაქო საზოგადოება ჩართოს სხვადასხვა სამთავრობო თუ საკანონმდებლო ინიციატივების განხილვაში, სხვა მსგავს აქტივობებში.

- სახელმწიფოსა და ევროკავშირის მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანადაფინასების უზრუნველყოფა, რაც მათ საშუალებას მისცემს განახორციელონ პროექტების მონიროტინგი და შეფასება (მაგ: თითოეულ პროექტში ჩაიდოს თანხის დაახლოებით 2% დამოუკიდებელი მონიტორინგის განსახორციელებლად);

- სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის თანხის გამოყოფა მათ მიერ მომზადებული ნორმატიული აქტების ან პროექტების საზოგადოებრივი განხილვის უზრუნ-ველსაყოფად.

- ევროკომისიის დელეგაციის მიერ ესპ სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის თემატური განხილვების მოწყობა (შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით)

რეკომენდაციები სიღარიბის დაძლევისა და სოციალური რეფორმების მხარდასაჭერად

- ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პროექტების განხორციელებაზე (არსებული არასაკმარისია);

- ქართული ეკონომიკის შედარებითი უპირატესობის მახასიათებელი სექტორების შესწავლა;

- იმ პროექტების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნას;

- კოპენჰაგენის პროცესთან საქართველოს მიერთების შესაძლებლობის კვლევა და ამ პროცესის ხარჯ-სარგებლის ანალიზი;

- ევროკავშირის მიერ გამოყენებული სტატისტიკური მონაცემების სანდოობის ხარისხის ასამაღლებლად სტატისტიკის სააგენტოს რეფორმის დაჩქარება, მისი დამოუკიდებლობისა და მონაცემთა სანდოობის უზურნველყოფა, რაც თავის მხრივ შეზღუდავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობის მანიპულირების საშუალებებს. სტატისტიკის დეპარტამენტის დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბება.

- ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტში ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტების ჯეროვანი ასახვა. ჯანდაცვის პრობლემებზე რეაგირების ასახვა მიმდინარე და განსახორციელებელი რეფორმებში არამარტო საკანონმდებლო, არამედ შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტების და პოლიტიკების შემუშავების დონეზე;

- ჯანდაცვის სფეროში სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისათვის აუცილებელი კვლევებისა და პოლიტიკის ანალიზის ხელშეწყობა.

- ეროვნულ ინდიკატორული გეგმის 6.2.1 ქვეპრიორიტეტის ფარგლებში ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით კანონმდებლობის შემუშავება-გატარებასთან ერთად ცალკეულ სფეროებში პოლიტიკის დოკუმენტების და სამოქმედო გეგმების შემუშავება/განხორციელების ხელშეწყობა.

ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, საბაზრო და რეგულირების რეფორმები

- რეგიონების განვითარების გეგმის ჩამოყალიბება და მისი განხორციელების უზრუნველყოფა ადგილობრივი ბიუჯეტების განვითარების გეგმის მიხედვით შედგენისა და განკარგვის უზრუნველყოფის გზით;

- ევროკავშირის დაფინანსების გამოყენება მუნიციპალიტეტების მიერ მუნიციპალური განვითარების გეგმების შემუშავებისათვის; თანხების გამოყოფა მუნიციპალიტეტებისათვის ამ გეგმების შესრულების საჯარო განხილვისათვის;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის წასახალისებლად და სექტორის გასანვითარებლად ფიტოსანიტარული სააგენტოს შექმნა და მისი ამუშავება;

- 2012 წლამდე სახელმწიფო სტრატეგიისა და ფინანსური გეგმის შემუშავება მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, რაც საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის დააახლოებს ევროკავშირის პროდუქციის ხარისხთან (ტენდერის გამოცხადება გეგმის შესამუშავებლად);

- ვიზის ფასილიტაციის საკითხის განხილვა რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე - აუცილებელია საკითხის შესწავლა, რომ საქართველოს მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

- საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის შესწავლა და შეფასება იმ კუთხით, თუ როგორ შეიძლება საქართველოს მიერ ეფექტიანად იყოს გამოყენებული GPS+. (გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული ანალიზის და შეფასების საფუძველზე და ხელისუფლებამ ბრმად არ უნდა გაიმეოროს მეზობელი ქვეყნების გამოცდილება — მაგ: უკრაინის, ასევე, შეიძლება შეფასდეს თურქეთთან თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ეფექტიანობა);

ტრანსპორტი და ენერგეტიკა

- ღია ცის ხელშეკრულების შესრულება — საჰაერო გადაზიდვების სფეროში მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას;

- საქართველოში სატრანზიტო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატებული განხორციელებისთვის ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზება ევროკავშირის შესაბამის დირექტივებთან, რაც იძლევა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი ჰორიზონტული ინსტრუმენტების დანერგვისა და გამოყენების საშუალებას;

- ქვეყნის მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის თანაბრად პროპორციული განვითარება, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის თანაბარ განვითარებას.

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი მოსმენების მოწყობა როგორც სტრატეგიულ გადაწყვეტილებების მიღებისას, ისე კონკრეტულ პროექტებთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას.

- ენერგეტიკული კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან - მათ შორის მშენებლობის კოდექსის შემუშავებისას, სადაც არ ითვალისწინებენ ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიებით მშენებლობის ვალდებულებას;

- სემეკის ინსტიტუციონალური გაძლიერება

- ენერგოინფასტრუქტურის გაუმჯობესება ენერგოეფექტურობის დანერგვის გზით;

- მძლავრი ენერგოსადგურების (ხუდონი) ნაცვალდ დაბალსიმძლავრიანი სადგურების მშენებლობის წახალისება, გენერაციის ოპტიმიზაცია;

- ევროპის ენერგო ქარტიის ხელმოწერა და რატიფიცირებასთან მიერთება.

გარემოს დაცვა:

- ევროკავშირის მიერ საქართველოსათვის შემუშავებულ ინდიკატორულ გეგმაში ქვეპრიორიტეტად გარემოსდაცვის შეტანა;

- ინიციატივები როგორიცაა, ტყეების კანონმდებლობის და მმართველობის

ინიცირება (FLEG), წყლის ინიციატივა, შესაბამისად წარმოჩენა და კონკრეტული ქმედებების დაგეგმვა/განხორციელება;

- უპირველეს ყოვლისა ხელმოწერილი და რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებების (UN EC შესაბამისი კონვენციების) შესრულების მექანიზმების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა;

- საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობის შესაძლებლობის განვითარება ორჰუსის კონვენციის შესაბამისად

- კარტახენას ოქმის რატიფიცირებისა და განხორციელებისათვის ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება

- ხელუხლებელ და ბუნებრივთან მიახლოვებულ ეკოსისტემების, მათ შორის ტყეების, შენარჩუნების და მდგარდი გამოყენების კანონმდებლობის გამკაცრება გარემოსდაცვითი ნორმების დარღვევასთან დაკავშირებით, მათ შორის შავი ზღვის დაბინძურების გამო;

- ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურების კონტროლის სისტემის შექმნა და მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით; დაბინძურებასთან დაკავშირებით შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება და კანონის აღსრულების გამკაცრება;

- ნებისმიერი რეგიონალური ინფრასტრუქტურული პროგრამის განხორციელე-ბამდე გარემოზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასების ჩატარების უზრუნველყოფა, ასევე, პროექტების დონეზე ინტეგრირებული სოციალური და გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების უზრუნველყოფა. ინფრასტრუქტურული პროგრამების უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება როგორც არსებულ, ისე დაგეგმილ დაცულ ტერიტორიებზე.

- რეგიონში მიმდინარე მსხვილმასშტაბიანი პროექტების განხილვა გარემოზე ტრანსასაზღვრო გავლენის შეფასების კუთხით (მაგ. ჭოროხი, ატ. ელექტრ)

- გარემოსდაცვითი თანამშრომლობის განხილვა კონფლიქტების მოგვარების კუთხით

- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის პროცედურის დახვეწა; გარემოზე ზემოქმედების (გარემოსდაცვითი) ნებართვების სფეროების გაფართოების ხელშეწყობა, ორჰუსის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა;

- სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) დანერგვა, ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ამ კუთხით;

- გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებში ენერგეტიკასა და მრეწველობასთან ერთად ყურადღების გამახვილება ტყისა და ჭარბტენიანი ეკოსისტემების შენარჩუნებაზე, ასევე, ტყეების აღდგენა-გაშენებაზე კლიმატის ცვლილების პრობლემასთან მიმართებაში;

- დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური ქსელის “ზურმუხტოვანი ქსელის” (Emerald network) განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა ამ კუთხით.

- ნარჩენების მართვის, წყლის მართვის, ჰაერის ხარისხის, ბუნებრივი კატასტროფების მართვის გეგმების შემუშავების დაწყება, ადგილობრივი

შესაძლებელობების გაძლიერების გზით;

- ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების ხელშეწყობა;

- REC -ის ეფექტურობის შეფასება და მოდერნიზაცია;

- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა ეკოლოგიური განათლების ცენტრების შექმნის, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, გარემოსდაცვითი ადვოკატირების გაძლიერების მეშვეობით. რეგიონებში არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობით.

კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა

- სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მხადაჭერა —ხელისუფლების ნების ცვლის, ხელისუფლებაზე ზემოქმედებისა და ლობირების ეფექტიანი მექანიზმების გამოყენების, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების გზით;

- წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის შექმნა – OPCAT-ის (წამების საწინააღმდეგო კონვენციის ფაკულტატური ოქმი) რეკომენდაციების შესაბამისად;

- სისხლის სამართლის არსებული პრაქტიკის ცვლილების მხარდაჭერა,

- ომბუცმენის ინსტიტუტის კომპეტენციის გაფართოების ხელშეწყობა უფლებამოსილების გაზრდის და ფინანსური მხარდაჭერის გზით;

- მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის პრიორიტეტულობის უზრუნველყოფა (გამოხატვის თავისუფლება და მისი პრაქტიკაში განხორციელება); ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობა იცხოვროს ჯანსაღ და უვნებელ გარემოში, მათ შორის კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფი მექანიზმის შექმნის ხელშეწყობა;

- სხვადასხვა ნიშნით დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად სათანადო პირობების შექმნა - საერთაშორისო კონვენციებთან (გაეროს ინვალიდთა უფლებების დაცვის კონვენცია) მიერთებისა და მისი აღსრულების ხელშეწყობა; განსხვავებული სოციალური ჯგუფებისათვის განკუთვნილი პროგრამებისა და პროექტების ჩამოყალიბება და მათი აღსრულების უზრუნველყოფა;

- მასმედიის თანამონაწილეობის უზრუნველყოფა საზოგადოების სამოქალაქო-პოლიტიკურ-სოციალურ უფლებათა გაცნობიერებაში.

დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა

- ევროკავშირის მიერ შემუშავებულ საქართველოს სტრატეგიულ დოკუმენტში კონსტიტუციის დონეზე ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დარღვევის ასახვა;

- საზოგადოებრივი კონსესუსის მიღწევის ხელშეწყობა ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობის დემოკრატიული მოდელის შესახებ

გენდერი

- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მექნიზმის (გენდერული თანასწორობის უზრუნველმყოფი სამსახურები) ინსტიტუციონალიზაცია ყველა დონეზე (ცენტრალურ და ადგილობრივ), მისი უწყვეტი ფუქნციონირების უზრუნველყოფა;

- დონორთა კოორდინაციისა და გამჭვირვალობის გაზრდა ფართო ზემოქმედების მქონე პროექტების დაგეგმვისას, წინასწარი გენდერული შეფასებებისა და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება; არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტიზის გამოყენება;

- ევროკავშირის მიერ მომზადებულ საქართველოს ინდიკატორულ პროგრამის ყველა საკითხში გენდერული თანასწორობის მოთხოვნის ინტეგრირება;

- საკანონმდებლო სივრცეში ე.წ. კვოტების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით. კვოტების მექანიზმი უნდა აისახოს სახელმწიფო ბიუჯეტში გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ჩამოსაყალიბებლად;

- ყველა ტიპის ქორწინების (სამოქალაქო და ეკლესიურის ჩათვლით) აღიარების და ქორწინების ხელშეკრულებების დანერგვის ხელშეწყობა.

- გენდერული თანასწორობის დანერგვის მიზნით გამოცდილების გაზიარება ევროკავშირის ქვეყნებთან;

- უმცირესობებში, სოციალურად დაუცველ ჯგუფებში, მაგალითად ინვალიდებში, პრევენციული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა ორმაგი დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად;

- გენდერულად დერეგისტრირებული სამედიცინო-სადაზღვევო პაკეტის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება;

- ოჯახში ძალადობის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელება: ქალთა ქონებრივი უფლებების გამყარება, სახელმწიფო თავშესაფრების გახსნა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, ფსიქოსარეაბილიტაციო ცენტრების გახსნა როგორც მსხვერპლთათვის, ასევე, მოძალადეთათვის;

- სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზის განხორციელება, გენდერული თანასწორობის საკითხის შეტანა სასკოლო პროგრამებში;

- სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტული დებულებების გათვალისწინება გენდერულ საფუძველზე დისკრიმინაციის დარღვევების შესახებ.

ასოციაცია “მწვანე ალტერნატივა”

საქართველო, თბილისი, 0162
ყიფშიძის ქ. 5ა. მე-4 სადარბ. მე-7 სართ.
ტელ: (+995 32) 221604; ფაქსი: (+995 32) 223874
ელ. ფოსტა: greenalt@wanex.net
ვებ გვერდი: www.greenalt.org